



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000093041430619

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 25

06 / ივნისი / 2019 წ.

განკარგულება

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის № 23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება თანდართული სახით.
2. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის გამზ. №41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბადასმულია
ელექტრონულად



თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტი 2019 წლის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული პროექტების დანართი						
№	პროექტები	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	სახელმწიფო პროგრამით გამოყოფილი თანხა	მ.შ. თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	სოფელ ზემო ალვანის ამბულატორიის რეაბილიტაცია	46400	46400	0	15.06.2019 წ. 15.09.2019 წ.	
	ჯამი					